



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის  
მერია  
G E O R G I A  
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 38-3825038323  
თარიღი: 07/02/2025

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

2024 წლის 28 მაისის N01/838 წერილობითი მომართვის პასუხად, რომელიც ეხება ქალაქ რუსთავში, მე-19 მიკრო/რაიონის მიმდებარედ არსებული, 1441.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული N1 შენობა-ნაგებობის (მიწის უძრავი ქონების) ს/კ N02.01.07.664 ფართობი: 1441 კვ.მ) პრივატიზებას, გაცნობებთ, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახურის მიერ აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ ეტაპზე არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამასთან, წერილში მითითებული მიწის ნაკვეთი „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად მდებარეობს საცხოვრებელი ზონა 2 სექტორი 2 (სზ 2 სექტორი 2).

ზემოაღნიშნული დადგენილების დანართი 3-ის IV მუხლის I პუნქტის მიხედვით: დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონა (სზ 2) წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დომინირებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. საცხოვრებელი ზონა (სზ 2) იყოფა ორ სექტორად: ა) სექტორი 1 ბ) სექტორი 2.

სექტორი 2 მშენებლობის ნებადართული სახეობებია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (სადაც უკვე არსებობს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება); დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მეორე სართულის იატაკის ნიშნულის სიმაღლე, საზოგადოებრივი სივრცის მხარეს მდებარე მიწისპირა ნიშნულიდან, მინიმუმ შეადგენს 4.8 მ.). სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა; კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას; საოჯახო (არასამეწარმეო) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური), სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით; მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს; რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი; სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი; ადმინისტრაციული ობიექტი; ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა.

საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს: სასტუმრო; მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს და არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; ოფისი; განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 300მ<sup>2</sup>, ხოლო მრავალბინიანი

საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისთვის 400მ<sup>2</sup>, ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

რაც შეეხება, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას, წარმოდგენილი ტერიტორიის და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წერილში მითითებული მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ N02.01.07.664 ფართობი: 1441 კვ.მ) და მასზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობის გასწვების პროცედურები.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

